



საქართველო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 13
03/02/2016

13-06-4-201602032309



განკარგულება №13
3 თებერვალი 2016წ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შეფასების შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, რომელმაც მოისმინა ამავე საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის თაობაზე აღნიშნავს, რომ კომისიას საანგარიშო პერიოდში გაწეული აქვს მნიშვნელოვანი მუშაობა არსებული კანონმდებლობითა და დადგენილებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით, კომისია რეგულარულად იხილავდა და ამზადებდა დასკვნებს საკრებულოს სხდომაზე ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ნორმატიული სამართლებრივი აქტების პროექტებზე და აქტიურად მონაწილეობდა ამ პროექტების შემუშავებაში, ამასთან საკრებულოს მიაჩნია, რომ კომისიამ გაცილებით მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აღმასრულებელ ორგანოს შესაბამისი სამსახურის მიერ კვარტალური მიმოხილვებისათვის კანონით გათვალისწინებული ანგარიშების მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის რეგულარულად წარმოდგენას, გამომდინარე აქედან საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :


მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2015 წელში გაწეული მუშაობის შესახებ შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

მუხლი 2. კომისიამ რეგულარულად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა, შეფასება და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში წარმოდგენა.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დიმიტრი კვერდელიძე



თავმჯდომარის მოადგილე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო